

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი
ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭოს სხდომა

სხდომა № 2

თბილისი

3 აგვისტო 2010 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

ასოცირებული პროფესორი ილონა საყვარელიძე, პროფესორი ნინო ორმოცაძე, ასოც. პროფესორი ირინა კალანდაძე, ასისტენტ-პროფესორი მედეა მჭედლიძე

სხდომის თავმჯდომარე : ასოცირებული პროფესორი ილონა საყვარელიძე

სხდომის მდივანი: სერგო ჯომიდავა

დღის წესრიგი:

1. ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტის ნათია ხასიას და საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის ვეტერინარიის სპეციალობის სტუდენტის თამთა მელაშვილის მობილობის წესით თჰუ ჯანდაცვის ფაკულტეტზე დიპლომირებული სტომატოლოგიის პროგრამის სტუდენტებად გადმოყვანის საკითხი.

მოისმინეს: თჰუ ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის ასოცირებულ პროფესორ ილონა საყვარელიძის ინფორმაცია:1) ნათია ხასია სწავლობდა ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის ჯანდაცვის ფაკულტეტზე, მან სწავლის პერიოდში მოაგროვა სასწავლო კრედიტები, იმ საგნებში, რომლებიც გათვალისწინებულია თჰუ ჯანდაცვის ფაკულტეტის დიპლომირებული სტომატოლოგიის პროგრამით, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ ნათია ხასიამ სწავლა გააგრძელოს თჰუ-ში ჯანდაცვის ფაკულტეტზე. ფაკულტეტის საბჭომ განიხილა აღნიშნული უნივერსიტეტის მიერ გაცემული ცნობა აკადემიური მოსწრების შესახებ. ასევე, ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის ჯანდაცვის ფაკულტეტის მიერ გაცემული აკადემიური ცნობა შეუდარდა თჰუ ჯანდაცვის ფაკულტეტის დიპლომირებული სტომატოლოგიის პროგრამას, რის საფუძველზეც წარმოდგენილ იქნა შესაბამისი დასკვნა.

- 2) თამთა მელაშვილი სწავლობდა საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის ვეტერინარიის სპეციალობაზე. მან სწავლის პერიოდში მოაგროვა სასწავლო კრედიტები იმ საგნებში, რომლებიც გათვალისწინებულია თჰუ ჯანდაცვის ფაკულტეტის დიპლომირებული სტომატოლოგიის პროგრამით, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ თამთა მელაშვილმა სწავლა გააგრძელოს თჰუ-ში ჯანდაცვის ფაკულტეტზე. ფაკულტეტის საბჭომ განიხილა აღნიშნული უნივერსიტეტის მიერ გაცემული ცნობა აკადემიური მოსწრების შესახებ. ასევე, უნივერსიტეტის მიერ გაცემული აკადემიური ცნობა შეუდარდა თჰუ ჯანდაცვის ფაკულტეტის დიპლომირებული სტომატოლოგიის პროგრამას, რის საფუძველზეც წარმოდგენილ იქნა შესაბამისი დასკვნა.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა ნ. ორმოცაძემ, ასისტენტ-პროფესორმა მედეა მჭედლიძემ.


ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად ერთხმად გადაწყვიტა:

1.1.აკადემიური მოსწრების ცნობის მიხედვით ნათია ხასიას ზუგდიდის დამოუკიდებელ უნივერსიტეტში შესწავლილი დისციპლინებიდან ჩათვალოს და შესაბამისად დაუკრედიტდეს შემდეგი:

№	საგნის დასახელება	კრედიტების რაოდენობა
1.	ციტოლოგია, ჰისტოლოგია, ემბრიოლოგია	5
2.	სამედიცინო ბიოლოგია	5
3.	სამედიცინო ფიზიკა	5
4.	ადამიანის ნორმალური ანატომია	9
5.	ლათინური ენა	4
6.	უცხო ენა	4
7.	საქართველოს ისტორია	2
8.	ზოგადი და არაორგანული ქიმია	6
9.	სამედიცინო ინფორმატიკა	5
	სულ	45

1.2. აკადემიური მოსწრების ცნობის მიხედვით თამთა მელაშვილს საქართველოს სახელმწიფო აგრარულ უნივერსიტეტში შესწავლილი დისციპლინებიდან ჩათვალოს და შესაბამისად დაუკრედიტდეს შემდეგი:


№	საგნის დასახელება	კრედიტების რაოდენობა
1	ზოგადი სავეტერინარო მიკრობიოლოგია	5
2	ციტოლოგია, ემბრიოლოგია	5
3	ლათინური ენა და სავეტ. ტერმინოლოგია	5
4	უცხო ენა	5
5	ჰისტოლოგია	5
6.	შინგ., გულსისხლძარღვთა და ნერვ. სისტემის ნორმ. ანატომია	5
7.	სავეტერინერო გენეტიკა	5
8.	ზოგადი სავეტერინარო მიკრობიოლოგია	5
9.	ინფორმატიკა	5
	სულ	45



ბ.1) ნათია ხასია ჩაირიცხოს თჳუ ჯანდაცვის ფაკულტეტზე დიპლომირებული სტომატოლოგიის პროგრამის მესამე სემესტრის სტუდენტად;

ბ. 2) თამთა მელაშვილი ჩაირიცხოს თჳუ ჯანდაცვის ფაკულტეტზე დიპლომირებული სტომატოლოგიის პროგრამის მესამე სემესტრის სტუდენტად.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე :

 ი. საყვარელიძე

სხდომის მდივანი:

 ს. ჯომიდავა

დანართი:

ა) საგანმანათლებლო პროგრამების შედარების აქტი;

ბ) დასკვნა.